სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 თებერვალი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/20

ბსუ-ს ხედვის, მისიის, ღირებულებებისა და 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის **დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N06-01/128 დადგენილების,** „ბსუ-ს 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის მოწონების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/21 გადაწყვეტილების, რექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 24 0000124848, 07.02.2024), სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 24 0000146688, 12.02.2024), აკადემიური საბჭოს რეგლამენტისა და 2024 წლის 16 თებერვლის №06-02/05 ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ხედვა, მისია, ღირებულებები და 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა** (წინამდებარე დადგენილების **დანართი 1**).
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„დამტკიცებულია“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №06-01/20 დადგენილებით
დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2031 წწ)

• • •

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. უნივერსიტეტი განთავსებულია ისტორიულ შენობაში, რომელსაც დაარსების დღიდან, მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა აქ ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა, ყოველთვის ჰქონდა საგანმანათლებლო კერის ფუნქცია. 1935 წელს, ქართული საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის შედეგად, ბათუმში გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო სასწავლებელი, რომელიც მალე გადაკეთდა ოთხწლიან ინსტიტუტად. 1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი, 1945 წლის ივნისში - პედაგოგიური ინსტიტუტის სტატუსი. 1990 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიქმნა, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. რეალობად იქცა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება: „საქართველოში თუ იქნება მეორე უნივერსიტეტი, ის ბათუმში უნდა გაიხსნას“.

მისია, ხედვა, ღირებულებები

ხედვა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

მისია: უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება, მართვის პროცესის დინამიკური განვითარება და დიგიტალიზაცია.
უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად აცხადებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის შესწავლას, შავი ზღვის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევებს, ასევე აგრარული მიმართულებისა და ტურიზმის განვითარებას.

ღირებულებები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულია, მისი უმთავრესი ღირებულებებია: ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისთვის ხელშეწყობა, აკადემიური კეთილსინდისიერება, ინკლუზიურობა და ტოლერანტობა, მრავალფეროვნება, სწავლა/სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

ბსუ სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნები

1. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის და რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწავლებისა და კვლევის პროცესი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს უნივერსიტეტის ე. წ. მესამე მისიის კომპონენტთან - ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობები, სოციალური პასუხისმგებლობა, რაც საზოგადოების კეთილდღეობის განვითარების ხელშეწყობას და განმტკიცებას გულისხმობს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა მესამე მისიის კონცეფციის გააზრების და დანერგვის შედეგად, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარების, მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური კეთილდღეობის ამაღლების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ძლიერების საქმეში, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაში;
2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება;
3. უნივერსიტეტი უნდა იყოს ძლიერი საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ახორციელებს ღირებულ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;
4. ინტერნაციონალიზაცია უნდა იქვცეს სწავლა/სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ერთერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად;
5. დამსაქმებელს, სტუდენტს, კურსდამთავრებულს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს მჭიდრო თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას;
6. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მოთხოვნებისა და შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებით, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განვითარება;
7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს სწავლა/სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად; მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ინკლუზიური ჯგუფის საჭიროებებს;
8. აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს მუდმივად განვითარებადი და მაქსიმალურად დიგიტალიზებული, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად.

მიზანი 1. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის და რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწავლებისა და კვლევის პროცესი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს უნივერსიტეტის ე. წ. მესამე მისიის კომპონენტთან - ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობები, სოციალური პასუხისმგებლობა, რაც საზოგადოების კეთილდღეობის განვითარების ხელშეწყობას და განმტკიცებას გულისხმობს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა მესამე მისიის კონცეფციის გააზრების და დანერგვის შედეგად, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარების, მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური კეთილდღეობის ამაღლების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ძლიერების საქმეში, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაში;

გადაჭრის გზები:

1.1. ქვეყნისა და რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება;
1.2. საზოგადოებაში დემოკრატიული, აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება;
1.3. ქველმოქმედების მხარდაჭერა და განხორციელება;
1.4. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;
1.5. პარტნიორული თანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება;
1.6. საზოგადოებაში ინსტიტუციისადმი ნდობის ზრდა:

1.1. ქვეყნისა და რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება:

ამოცანა 1	საგანმანათლებლო, სამთავრობო, ბიზნეს-სექტორის, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების სანდო პარტნიორობა საზოგადოებაში დემოკრატიული, აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრების მიზნით
ამოცანა 2	სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მოზარდებში კულტურული, სოციალური და სამეწარმეო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, ცოდნის გაცვლა, პრაქტიკის გაზიარება მესამე მისიის ფარგლებში რეგულარული შეხვედრებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებით
ამოცანა 3	უწყვეტი განათლების მოკლევადიანი კურსებისა და მიკროკრედიტების შეთავაზება, პროფესიული უნარების განვითარების და გაღრმავების, ასევე სოციალური და ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით
ამოცანა 4	უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, კვლევითი ინსტიტუტების, იურიდიული კლინიკის, ექსტენციის ცენტრისა და ფსიქოლოგიური კლინიკის მიერ სისტემატური საკონსულტაციო და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა დაინტერესებული მხარეებისათვის
ამოცანა 5	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის მიერ განხორციელებულ რეფორმებში ექსპერტებისა და კონსულტანტების სახით
ამოცანა 6	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა საზოგადოებრივ დიალოგში და საჯარო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტში

1.2. საზოგადოებაში დაამკვიდროს დემოკრატიული, აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებები:

ამოცანა 1	აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის დამკვიდრება
ამოცანა 2	წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით საზოგადოებრივი კამპანიის წარმოება
ამოცანა 3	დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებით

1.3. ქველმოქმედების მხარდაჭერა და განხორციელება:

ამოცანა 1	სოციალურად დაუცველ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პირთა მხარდაჭერა
ამოცანა 2	საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა

1.4. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა:

ამოცანა 1	ინკლუზიური ჯგუფების იდენტიფიცირება, მათი მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება
ამოცანა 2	შშმ და სსსმ პირთა მხარდაჭერა ფსიქოლოგიური, პროფესიული და სხვა ტრეინინგების ორგანიზებით
ამოცანა 3	შშმ და სსსმ პირთა მხარდაჭერა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით
ამოცანა 4	ინკლუზიის ცენტრის შექმნა

1.5. პარტნიორული თანამშრობლობის გაღრმავება და გაფართოება:

ამოცანა 1	უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფით საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობების მხარაჭერა
ამოცანა 2	საზოგადოებრივ და პროფესიულ გაერთიანებებში, კავშირებსა და ორგანიზაციებში ჩართვა
ამოცანა 5	უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის გაღრმავება, სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაცია, პატენტების და სტარტაპების განვიტარება მესამე მისიის ფარგლებში

1.6. საზოგადოებაში ინსტიტუციისადმი ნდობის ზრდა:

ამოცანა 1	მკვლევართა და სტუდენტთა მიერ შესრულებული სამეცნიერო მიღწევების წარმოჩენა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით
ამოცანა 2	წარმატებულ კურსდამთავრებულთა წარმოჩენა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით
ამოცანა 3	უნივერსიტეტის შემოქმედებითი და სპორტული გუნდების წარმოჩენა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით
ამოცანა 4	სოციალური ქსელის აქტიურ საკომუნიკაციო საშუალებად გამოყენება

მიზანი 2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება

გადაჭრის გზები:

2.1. საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმის დახვეწა
2.2. აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
2.3. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის უწყვეტობა.

2.1. საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმის დახვეწა:

ამოცანა 1	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის განვითარება და დიგიტალიზაცია;
ამოცანა 2	სტუდენტების აკადემიური მოსწრების სისტემატური მონიტორინგი, ანალიზი და რეაგირება;
ამოცანა 3	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა, ანალიზი და რეაგირება;
ამოცანა 4	შრომის ბაზრის კვლევის მექანიზმების განახლება, მისი გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და შედეგების შეფასების პროცესში;
ამოცანა 5	აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის ფუნქციონირების უწყვეტობა;
ამოცანა 6	საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში;
ამოცანა 7	სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგების გამოყენება სწავლა-სწავლების მეთოდების სრულყოფისა და განვითარებისათვის;
ამოცანა 8	სამეცნიერო სიახლეებისა და სამეცნიერო მიღწევების საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვა;
ამოცანა 9	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის დიგიტალიზაცია;
ამოცანა 10	შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
ამოცანა 11	ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა.

2.2. აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა:

ამოცანა 1	აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა და შედეგების გათვალისწინება მართვის პროცესში;
ამოცანა 2	აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული მხარაჭერის მექანიზმების სრულყოფა და იმპლემენტაცია;
ამოცანა 3	მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნების კრიტერიუმებისა და პროცედურების მუდმივი განვითარება;
ამოცანა 4	ფუნდამენტურ დარგებში სადოქტორო პროგრამების და პოსტსადოქტორო პროექტების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება;
ამოცანა 5	საჯარო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობით სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

2.3. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის უწყვეტობა:

ამოცანა 1	ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით ეფექტიანი მექანიზმების ამოქმედება;
ამოცანა 2	კლასტერული და პროგრამული აკრედიტაციის პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა;
ამოცანა 3	საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების მექანიზმების განვითარება;
ამოცანა 4	ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მხარდაჭერა პერსონალის პროფესიული განვითარების გზით.
ამოცანა 5	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის მხარდაჭერა

მიზანი 3.

უნივერსიტეტი უნდა იყოს ძლიერი საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ახორციელებს ღირებულ ფუნდამენტურდა გამოყენებით კვლევებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას

გადაჭრის გზები:

3.1. ფუნდამეტური და გამოყენებითი კვლევების შეფასება და მხარდაჭერა;
3.2. სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია;
3.3. სამეცნიერო კვლევების დისემინაცია;
3.4. უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობა სამეცნიერო დისკუსიებში, მეცნიერების პოპულარიზაცია.

3.1. ფუნდამეტური და გამოყენებითი კვლევების შეფასება და მხარდაჭერა:

ამოცანა 1	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემის ფუნქციონირების უწყვეტობა
ამოცანა 2	უნივერსიტეტის მისიისა და სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განახლების და სრულყოფის მექანიზმის შემუშავება; სამეცნიერო კვლევებში გადაფარვის/დუბლირების აღმოფხვრა ფაკულტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის; ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელება
ამოცანა 3	შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტების (გრანტის) დაფინანსების წესის სრულყოფა: შერჩევის პროცედურის დახვეწა; დაფინანსების მოცულობის ეტაპობრივი ზრდა; პროექტების განხორციელების მონიტორინგის და შედეგების შეფასების მექანიზმის სრულყოფა
ამოცანა 4	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ცენტრებისა და ლაბორატორიების ჩართულობის ზრდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში. ასევე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა კვლევითი ინსტიტუტების, ცენტრებისა და ლაბორატორიების სამეცნიერო საქმიანობაში
ამოცანა 5	ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მხარდაჭერა სხვადასხვა პროექტების განხორციელებით
ამოცანა 6	სამეცნიერო კვლევითი ბაზების განახლების მიზნით დაფინანსების ეტაპობრივი ზრდა
ამოცანა 7	საბიბლიოთეკო ფონდის მოწესრიგება, დიგიტალიზაცია და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე ხელმისაწვდომობის ზრდა
ამოცანა 8	სამეცნიერო საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, დიგიტალიზაცია და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში გამოცემების ინდექსირების მხარდაჭერა
ამოცანა 9	კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის განვითარების ხელშეწყობა

3.2. სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია:

ამოცანა 1	საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და საგრანტო განაცხადის მომზადების პროცესში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მხარდაჭერა
ამოცანა 2	ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა და გაძლიერება
ამოცანა 3	ბიზნეს-სექტორთან და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის გაძლიერება და სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაცია

3.3. სამეცნიერო კვლევების დისემინაცია:

ამოცანა 1	საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძლებებში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობის დაფინანსების ეტაპობრივი ზრდა
ამოცანა 2	ბსუ-ში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძლებების ორგანიზების მხარდაჭერა
ამოცანა 3	აღიარებულ მკვლევართა ჩართულობით სამეცნიერო სემინარებისა და საჯარო ლექციების ორგანიზება
ამოცანა 4	სამეცნიერო გამოფენებში აქტიური მონაწილეობა
ამოცანა 5	უნივერსიტეტის ფარგლებში მკვლევართა და სტუდენტთა მიერ შესრულებული სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაცია/წარმოჩენა მედიის საშუალებებით
ამოცანა 6	განსაკუთრებული კვლევითი უნარების მქონე ახალგაზრდების (მოსწავლე, სტუდენტი, ახალგაზრდა მკვლევარი) წარმოჩენა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა
ამოცანა 7	ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებში გამოგონებებისა და პატენტების დარეგისტრირების მხარამჭერი მექანიზმების ამოქმედება

3.4. უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობა სამეცნიერო დისკუსიებში, მეცნიერების პოპულარიზაცია:

ამოცანა 1	მესამე მისიის ფარგლებში სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, აგრარული, გარემოს დაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის პროცესში სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა
ამოცანა 2	სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის მიერ განსახორციელებელ რეფორმებში კვლევებზე დაფუძნებული საექსპერტო შეფასებით აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა

მიზანი 4: ინტერნაციონალიზაცია უნდა იქცეს სწავლა/სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად

გადაჭრის გზები:

4.1. გაცვლით პროგრამებში აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა;
4.2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
4.3. უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა;
4.4. აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალის წახალისება და ხელშეწყობა საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიზნით;
4.5. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება, განათლების გლობალურ ფორუმებში/გამოფენებში მონაწილეობა.

4.1. გაცვლით პროგრამებში აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა:

ამოცანა 1	კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით
ამოცანა 2	უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიღება ბსუ-ში, გამოცდილების გაზიარების მიზნით
ამოცანა 3	საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე შერჩეული სტუდენტების მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში, საგანმანათლებლო კომპონენტის ასათვისებლად
ამოცანა 4	საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, პარტნიორი უნივერსიტეტებიდან უცხოელი სტუდენტების მიღება ბსუ-ში
ამოცანა 5	კონკურსის საფუძველზე, გამოცდილების გაზიარების მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში
ამოცანა 6	სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პერსონალის მივლინება პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულებზე (Staff Week), უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის, ახალი კონტაქტების მოძიების მიზნით
ამოცანა 7	სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად პარტნიორი უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან მოვლინებული პერსონალისთვის ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის, უნივერსიტეტის (ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი ცენტრების, ლაბორატორიების და ა.შ.) გაცნობის მიზნით საერთაშორისო კვირეულის (Staff Week) ორგანიზება
ამოცანა 8	საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით ბსუ-ში ჩამოსული სტუდენტებისთვის „მიღების დღეების“ (Welcome Day) ორგანიზება
ამოცანა 9	საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის საინფორმაციო დღის მოწყობა

4.2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია:

ამოცანა 1	პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განხორციელების ხელშეწყობა
ამოცანა 2	უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განხორციელების ხელშეწყობა
ამოცანა 3	უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების უცხოენოვანი სასწავლო კურსების ბაზის მუდმივი განახლება

4.3. უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა:

ამოცანა 1	საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მემორანდუმების განახლება; ახალი ხელშეკრულებების გაფორმება
ამოცანა 2	დისტანციური სწავლების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა; დისტანციური/ონლაინ კურსების შემუშავება
ამოცანა 3	მეცნიერების სხვადასხვა სფეროში საერთაშორისო კონფერენციების/ფორუმების გამართვის ხელშეწყობა
ამოცანა 4	სხვადასხვა სფეროში საერთაშორისო სეზონური სკოლების გამართვის ხელშეწყობა
ამოცანა 5	ბსუ-ში უცხოელი ქართველოლოგებისთვის, დაწესდება „შოთა რუსთაველის“ სტიპენდია ქართველოლოგიის სფეროში კვლევების განსახორციელებლად

4.4. აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალის წახალისება და ხელშეწყობა საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიზნით:

ამოცანა 1	საერთაშორისო კონკურსების, სტიპენდიების, გრანტების, ფონდების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება
ამოცანა 2	დაინტერესებული პირებისთვის საერთაშორისო საგრანტო განაცხადების მომზადებისა და წარდგენის, ასევე რელევანტური პარტნიორების შერჩევის პროცესში დახმარება
ამოცანა 3	საკონკურსო პროექტების მომზადების მიზნით, ექსპერტების მოწვევა და ტრენინგების ჩატარება
ამოცანა 4	საერთაშორისო პროექტების წარდგენის, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის შემუშავება

4.5. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება, განათლების გლობალურ ფორუმებში/გამოფენებში მონაწილეობა:

ამოცანა 1	უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს განათლების გლობალურ ფორუმებში/ გამოფენებში
ამოცანა 2	უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით აქტივობების განხორციელება
ამოცანა 3	უნივერსიტეტი გაწევრიანდება პრესტიჟულ საერთაშორისო საუნივერსიტეტო ასოციაციებში (EUA)
ამოცანა 4	უნივერსიტეტში გაიხსნება იუნესკოს კათედრა, რომელიც განახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებს და ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლებას

მიზანი 5: დამსაქმებელს, სტუდენტს, კურსდამთავრებულს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს მჭიდრო თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას;

გადაჭრის გზები:

5.1. სტუდენტთა კარიერული განვითარების მექანიზმებისა და სერვისების განვითარება;
5.2. დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება;
5.3. დამსაქმებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პროფესორთა თანაამშრომლობა, ერთობლივი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
5.4. სტრატეგიული პარტნიორების შეძენა სხვადასხვა (განათლების, საჯარო, საქმიან) სფეროში, მათთან აქტიური თანამშრომლობა;
5.5. კურსდამთავრებულთა ასოციაციის/კლუბის შექმნა.

5.1. **სტუდენტთა კარიერული განვითარების მექანიზმებისა და სერვისების განვითარება:**

ამოცანა 1	უნივერსიტეტი შექმნის და განახორციელებს ტრენინგ-კურსებს, რომლებიც სტუდენტებს დამსაქმებლებთან ურთიერთობასა და სამსახურის მოძიებაში დაეხმარება (განაცხადების შევსება, სამოტივაციო წერილების დაწერა, გასაუბრების წარმატებით გავლა და ა.შ)
ამოცანა 2	უნივერსიტეტის პორტალზე (portal.bsu.edu.ge) არსებული სტაჟირების ბაზის სრულყოფა
ამოცანა 3	უნივერსიტეტის პორტალის (portal.bsu.edu.ge) მოდულის ,,დასაქმება'' განვითარება
ამოცანა 4	დასაქმების ფორუმებისა და დამსაქმებლებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება
ამოცანა 5	განსაკუთრებული პროფესიული წარმატებების მქონე კურსდამთავრებულებისა და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეების მოწვევა საჯარო ლექცია/მასტერკლასების ჩატარების მიზნით
ამოცანა 6	სსსმ და შშმ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა
ამოცანა 7	კარიერული მენტორი - უნივერსიტეტის პორტალზე (portal.bsu.edu.ge) შესაბამისი მოდულის შექმნა
ამოცანა 8	სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა საგანმანათლებლო პროგრამების სამუშაო ჯგუფებში ჩართულობის ხელშეწყობა

5.2. **დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება:**

ამოცანა 1	ინდუსტრიის წარმატებული ლიდერების მოწვევა სტუდენტებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით
ამოცანა 2	უნივერსიტეტი შესთავაზებს საქმიან წრეებს მათი პროდუქტების განვითარებას სტუდენტების მიერ შესრულებული საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ფარგლებში

5.3. **დამსაქმებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პროფესორთა თანაამშრომლობა, ერთობლივი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა:**

ამოცანა 1	ბიზნესიდეებისა და სტარტაპების კონკურსების ორგანიზება
ამოცანა 2	იურიდიული, ფსიქოლოგიური, სტომატოლოგიური კლინიკების, ექსტენციის ცენტრის და სხვადასხვა პროფილის ლაბორატორიების მუშაობაში ჩართული სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პროცესში
ამოცანა 3	უნივერსიტეტი განახორციელებს შემოქმედებით და საგანამანთლებლო პროექტებს დასაქმების, პროფესიული და კარიერული განვითარების თემატიკაზე
ამოცანა 4	შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული კლუბების განვითარების ხელშეწყობა

5.4. **სტრატეგიული პარტნიორების შეძენა სხვადასხვა (განათლების, საჯარო, საქმიან) სფეროში, მათთან აქტიური თანამშრომლობა:**

ამოცანა 1	მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა განათლების სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და განმახორციელებელ სტრუქტურებთან
ამოცანა 2	მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და განმახორციელებელ სტრუქტურებთან
ამოცანა 3	მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა ზოგადი და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებთან - ერთობლივი პროექტების, პრაქტიკების, კონფერენციების და სხვა პროგრამების განხორციელება
ამოცანა 4	უნივერსიტეტის და მსხვილი ბიზნესის მჭიდრო პარტნიორობა
ამოცანა 5	უნივერსიტეტის მჭიდრო პარტნიორობა პროფესიულ ასოციაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან
ამოცანა 6	სახელოვნებო, შემოქმედებით და სპორტულ გაერთიანებებთან, ასოციაციებთან და ფედერაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება

5.5. **კურსდამთავრებულთა ასოციაციის/კლუბის შექმნა:**

ამოცანა 1	მზრუნველთა საბჭოს შექმნა
ამოცანა 2	კურსდამთავრებულთა ასოციაციის/კლუბის შექმნა
ამოცანა 3	კურსდამთავრებულთა კლუბის წევრებისათვის საუნივერსიტეტო სერვისების (მოკლევადიანი კურსები, საჯარო ლექციები, კულტურა, სპორტი და სხვა) შეთავაზება და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე წვდომა

მიზანი 6: უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მოთხოვნებისა და შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებით, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განვითარება

გადაჭრის გზები:

6.1. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
6.2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება;
6.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული გადამზადებისა და მომზადების პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის განვითარების ხელშეწყობა;
6.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა.

6.1. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა:

ამოცანა 1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება
ამოცანა 2	პროფესიული გადამზადების პროგრამის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განვითარება
ამოცანა 3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების პერიოდული შეფასება და განახლება

6.2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება:

ამოცანა 1	სასწავლო პროცესის ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინტერესების გათვალისწინებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით
ამოცანა 2	სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა
ამოცანა 3	პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესება

6.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული გადამზადებისა და მომზადების პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის განვითარების ხელშეწყობა:

ამოცანა 1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული გადამზადებისა და მომზადების პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა
ამოცანა 2	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული გადამზადებისა და მომზადების პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა

6.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა:

ამოცანა 1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა
ამოცანა 2	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასება
ამოცანა 3	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

მიზანი 7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს სწავლა/სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად. მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ინკლუზიური ჯგუფის საჭიროებებს

გადაჭრის გზები:

7.1. უნივერსიტეტის ახალი კამპუსების, სტუდენტთა/პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებლის და მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა;
7.2. არსებული ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური განახლება;
7.3. სამედიცინო საუნივერსიტეტო კლინიკა;
7.4. საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა.

7.1. უნივერსიტეტის ახალი კამპუსების, სტუდენტთა/პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებლის და მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა:

ამოცანა 1	სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ახალი თანამედროვე კორპუსის მშენებლობა, რომელიც გათვლილი იქნება 1500 სტუდენტზე
ამოცანა 2	ტექნოლოგიური და აგრარული მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ახალი თანამედროვე კორპუსის მშენებლობა, რომელიც გათვლილი იქნება 1200 სტუდენტზე
ამოცანა 3	სტუდენტებისა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებისათვის ახალი, თანამედროვე სტანდარტების (600 ადგილიანი) საცხოვრებლის მშენებლობა
ამოცანა 4	სტუდენტებისა და უნივერსიტეტის პერსონალისთვის მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა
ამოცანა 5	თანამედროვე სტუდენტური კაფე/სასადილოს მოწყობა

7.2. არსებული ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური განახლება

ამოცანა 1	ბსუ-ს ბიბლიოთეკის ახალი სივრცეში გადატანა
ამოცანა 2	კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის, ლაბორატორიებისა და საცდელი ბაზების განვითარება
ამოცანა 3	სასწავლო კორპუსების ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა
ამოცანა 4	უნივერსიტეტის კორპუსების ეტაპობრივი და სრული ადაპტირება სსსმ და შშმ პირების საჭიროებებისათვის
ამოცანა 5	სასერვერო ინფრასტრუქტურის მოწყობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის ალტერნატიული ელექტროენერგიის და ინტერნეტის წყაროს უზრუნველყოფა
ამოცანა 6	არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება

7.3. სამედიცინო განათლების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა:

ამოცანა 1	საუნივერსიტეტო სტატუსის მქონე კლინიკური ბაზების შექმნა
ამოცანა 2	ბსუ-ს სასწავლო-კლინიკური ბაზების განვითარება
ამოცანა 3	ლაბორატორიული აღჭურვილობის მუდმივი განვითარება
ამოცანა 4	სამედიცინო სასწავლო ცენტრის განახლება და „ოსკის“ საგამოცდო ცენტრის გაფართოება

7.4. საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა:

ამოცანა 1	სტუდენტთა კულტურული ცხოვრების (თეატრი, ფოლკლორული, ქორეოგრაფიული ანსამბლები და სხვ.) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა
ამოცანა 2	სტუდენტთა სპორტული ცხოვრების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა და ეროვნულ/საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრე-ბებში ჩართულობის უზრუნველყოფა

მიზანი 8. აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს მუდმივად განვითარებადი და მაქსიმალურად დიგიტალიზებული, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად:

გადაჭრის გზები:

8.1. მართვის ეფექტიანობის ზრდა;
8.2. უნივერსიტეტის საინვესტიციო სტრატეგია;
8.3. უნივერსიტეტის PR სტრატეგია:
8.4. უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვა;
8.5. ძირითადი საუნივერსიტეტო პროცესების უწყვეტობის მიღწევა.

8.1. მართვის ეფექტიანობის ზრდა:

ამოცანა 1	საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გათვალისწინებით ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შემუშავება
ამოცანა 2	ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პროფესიული განვითარების ღონისძიებების მხარდაჭერა
ამოცანა 3	ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება და დიგიტალიზაცია
ამოცანა 4	უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის სტრატეგიის შემუშავება
ამოცანა 5	მთავარი შიდა აუდიტორი

8.2. უნივერსიტეტის საინვესტიციო სტრატეგია:

ამოცანა 1	კომერციალიზაციის პოლიტიკის შექმნა და მხარდაჭერა
ამოცანა 2	უნივერსიტეტის განვითარების ფონდის შექმნა
ამოცანა 3	უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვის შექმნა

8.3. უნივერსიტეტის PR სტრატეგია:

ამოცანა 1	რეკლამა B2B პრინციპით
ამოცანა 2	რეკლამირება მასმედიის, სოციალური ქსელების და ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებით
ამოცანა 3	საერთაშორისო სარეიტინგო/რანჟირების სისტემებში პოზიციიების გაუმჯობესება

8.4. უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვა:

ამოცანა 1	პროგრამული ბიუჯეტის კონცეფციის შემდგომი განვითარება
ამოცანა 2	ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებების შესაბამისი, ფინანსურად არაეფექტიანი, საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა

8.5. ძირითადი საუნივერსიტეტო პროცესების უწყვეტობის მიღწევა:

ამოცანა 1	სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა
ამოცანა 2	სამეცნიერო-კვლევითი პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა
ამოცანა 3	ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფა
ამოცანა 4	საერთაშორისო თანამშრომლობის უწყვეტობის უზრუნველყოფა
ამოცანა 5	კრიზისის მართვის ინსტრუქციების შემუშავება

გასაუმჯობესებელი მხარეები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მიუხედავად ამისა, გასაუმჯობესებელია შემდეგი მიმართულებები:

1. თანამედროვე ტექნოლოგიების როლის გაზრდა სწავლა-სწავლებისა და მეცნიერების მიმართულებით;
2. სწავლა-სწავლების და კვლევების შრომის ბაზარზე ორიენტირება და კვლევების ხარისხის ამაღლება;
3. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალის სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდა;
4. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა სწავლა-სწავლების და კვლევების მიმართულებით;
5. კრიზისების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება - ბიზნეს უწყვეტობის მიღწევა.

ძლიერი მხარეები

სტრატეგიული განვითარების გეგმის წარმატებით განხორციელების ფაქტორები და რესურსები:

1. უნივერსიტეტის საუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიცია;
2. ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში საუნივერსიტეტო რანჟირებაში მოწინავე პოზიციები;
3. ძლიერი აკადემიური და სამეცნიერო სკოლები, კვლევითი ინსტიტუტები;
4. მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო ურთიერთობები;
5. მრავალფეროვანი ელექტრონული პლატფორმები (უნივერსიტეტის პორტალი: portal.bsu.edu.ge);
6. უნივერსიტეტის მზარდი ბიუჯეტი;
7. უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა;
8. სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა;
9. სახელმწიფო ინსტიტუციების მხარდაჭერა.